პირველკლასელებთან ძალადობის დაძლევის შესწავლა
მშობლებისა და მასწავლებლების პერსპექტივები

გვანცა ბარბაქაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, MSW, PH

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

გვანცა ბარბაქაძე

26.06.2017

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება ბავშთა შორის ძალადობის გამოვლინებას სკოლაში. როგორი ფორმით და რამდენად ხშირად ვლინდება ბულინგის შემთხვევები, როგორ ხვდებიან მასწავლებლები ასეთ ძალადობას, როგორი რეაქცია აქვთ და რას ასწავლიან ბავშვებს ასეთ დროს.

ნაშრომი, აგრეთვე, მოიცავს მშობლების მოსაზრებებსა და რჩევა-დარიგებებს, რომლებსაც ისინი აძლევენ თავიანთ შვილებს. მათ რეაქციებს მაშინ, როდესაც მათი შვილია ძალადობის მსხვერპლი და პირიქით, როდესაც ის მოძალადეა.

მიზნების განსახორციელებლად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუ, რათა უფრო დეტალურად შესწავლილიყო პირველკლასელთა შორის ურთიერთობები.

აღნიშნული კვლევა საშუალებას მოგვცემს გავიგოთ რა თავისებურებებს ასწავლიან მშობლები და მასწავლებლები ბავშვებს, იმისთვის , რომ თავი დაიცვან სხვა ბავშვების ბულინგისგან. აგრეთვე გავიგებთ, ცოდნის როგორი დონეა შერჩეულ რაიონში ბულინგის საკითხებთან დაკავშირებით.

Abstract

The purpose of this work is to study violence among children at the school and outside. How often are the bullying cases revealed, how do teachers meet such violence, how they react and what the teacher teaches to the students during bullying.

The work also includes parental opinions and advice that they give to their children. Their reaction when their child is a victim of violence and , in contrast, when their son is abusive.

Qualitative research method has been used to implement the goals, namely, in-depth interviews in order to be more thoroughly studied relationships among the first graders.

This research will enable us to learn what peculiarities parents and teachers have for children to protect their children from bullying. We will also learn about the level of knowledge in the selected district of the bullying issues.

მადლობა

ბავშვთა შორის ბულინგი საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამ მხრივ კვლევები ჩატარებულია საქართველოშიც, მაგრამ არა იმ რაიონში, რომელიც ჩემთვის იყო საინტერესო. მინდა მადლობა გადავუხადო კვლევაში მონაწილე ადამიანებს, რომლებიც დამეხმარენ ინფორმაციის მოპოვებაში. აგრეთვე, მინდა განსაკუთრებულად დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს რჩევებისა და გაწეული დახმარებისთვის.